თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

30.05.2018

N 3216

შპს ,,სუპერის" ადმინისტრაციულ დირექტორს

მ. მაისურაძეს

კოსტავას ქ.N 23

ბატონო მამუკა,

საქართველოს რკინიგზა
1872-დან

სს „საქართველოს რკინიგზა"-ში განხილული იქნა თქვენი 2018 წლის 23 მაისის №5728 წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ზაჰესში, მუხათგვერდის ტერიტორიაზე, შპს „სუპერი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, საკანალიზაციო წყლების გამწმენდი აპარატის - ბიოტალის დამონტაჟების და გადამუშავებული წყლის, არსებულ არხში გაშვების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სს „საქართველოს რკინიგზა" არ არის წინააღმდეგი 01.72.14.045.614 ს/კ რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთში დამონტაჟდეს გამწმენდი მოწყობილობა და მოხდეს გაწმენდილი წყლის გაშვება (დღეღამეში 3 კუბ.მეტრი) მიმდებარე ღია სანიაღვრე არხში.

ასევე გაცნობებთ, რომ წყლის გაშვება არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად რკინიგზის ლიანდაგების გასწვრივ არსებულ კიუვეტში.

ვინაიდან სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს რკინიგზის კუთვნილი № 01.01.103 საკაბელო არხის სიახლოეს, წარმომადგენლის გამოყოფის მიზნით უნდა დაუკავშირდეთ სს „საქართველოს რკინიგზის" საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების თბილისის კვანძის უფროსს - მამუკა ბარათელს, მობ: 591-19-90-08.

იმ შემთხვევაში თუ შპს „სუპერი"-ს კომუნიკაციების ან მოწყობილობების განსათავსებლად საჭირო გახდება ჩვენი გასხვისების ზოლის ნაწილის გამოყენება, შემდგომში საჭირო იქნება თქვენს მიერ ცალკე მომართვის საფუძველზე განისაზღვროს სს „საქართველოს რკინიგზის" კუთვნილი მიწით სარგებლობის პირობები.

ინფრასტრუქტურის დირექტორი

ვ. ხორავა